პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 243 (19085) კვირა, 21 ოქტომბერი, 1984 წელი ფასი 3 კაპ.

მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ მოსახლეობისათვის მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოება! უფრო სრულად გაითვალისწინეთ საბჭოთა ადამიანების მზარდი მოთხოვნილებანი, დააჩქარეთ ასორტიმენტის განახლება!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სომხეთის რესპუბლიკურ პარტიულ ორგანიზაციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ".

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ, ასრულებდნენ რა პარტიის XXVI ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. კ. უ. ჩერნენკოს მითითებებს, სომხეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა გააღრმავეს იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გარკვეულ გაუმჯობესებას. მაღლდება მისი მეცნიერული დონე, ქმედითობა, მტკიცდება კავშირი ცხოვრებასთან, სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტასთან. გაიზარდა მშრომელთა საწარმოო და საზოგადოებრივი აქტიურობა. სრულდება ხუთწლედის დავალებები მრეწველობაში, სოფლის მე-...

...დელი დაწესებულებებისადმი. ყველგან იქმნება რუსული ენის გაღრმავებული შესწავლის პირობები. აქტიურად მიმდინარეობს სამართლებრივი პროპაგანდა, ბრძოლა ლოთობასთან, რამდენადმე იკლო სამართალდარღვევებმა.

ამავე დროს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები ნელა სრულყოფენ იდეოლოგიურ და [illegible] პოლიტიკურ ... ნობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად. მთლიანად არ არის დაძლეული მისი მოწყვეტა პრაქტიკული ამოცანებისაგან, რეალური სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისაგან. იდეოლოგიური მუშაობა ჯერ კიდევ არ გამხდარა თითოეული კომუნისტის საქმე, მთელ რიგ პარტიულ კომიტეტებში და პირველად პარტორ-...

[illegible]

21 ოქტომბერი ქვების მრეწველობის მუშაკთა დღეა

მათ ნაშრომს ხალხი ამოწმებს

ჩვენი რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოები, შრომითი კოლექტივები და მუშაკები აღნიშნავენ თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს — „კვების მრეწველობის მუშაკთა დღეს", რომელიც ტრადიციულად სოკტომბრო მზადებას ემთხვევა. ...

[illegible]

...ალნიშნავენ რა თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს, მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ იმ ნაკლოვანებების, ჩრდილოვანი მხარეების გამოსწორებას, რომლებიც ჯერ კიდევ აქვთ მუშაობაში.

საწარმოო გაერთიანება „თბილისკონდიტერმა" მიმდინარე წლის განვლილ ცხრა თვეში მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 310 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდა, ხოლო მოგების გეგმას 160 ათასი მანეთით გადააჭარბა. წარმოების ზრდის ტემპი შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,8 პროცენტით გაიზარდა. ყოველ თვეში გადაჭარბებით სრულდება მიწოდების გეგმები.

განსაკუთრებით წარმატებებს მიაღწია შოკოლადის კომპლექტის „მზიურის" დამამზადებელმა ბრიგადამ, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მაყრა რუხაძე უდგას სათავეში. იგი 17 წელია ამ საწარმოში შრომობს და დავალებებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებს.

სურათზე: მაყრა რუხაძე.

ჯ. ლომაძის ფოტო.

საზეიმო კრება

თბილისი პიონერთა სასახლეში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა კვების მრეწველობის მუშაკთა დღეს.

კრების მონაწილეებმა საპატიო პრეზიდიუმში დიდი აღმაფრენით აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. უ. ჩერნენკოს მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ე. ს. მალაზონიამ.

საზეიმო კრებას დაესწრო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი. (საქინფორმი).

რთველი—84:

დღის ქრონიკა

ბოლნისის რაიონის მევენახეებმა შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა — მოკრიფეს 13304 ტონა. გარდაბნის რაიონის მეურნეობებმა გეგმა შეასრულეს 70,9 პროცენტით, მარნეულისამ — 61,4, თეთრი წყაროსამ — 67, მცხეთის რაიონმა — 52,8 პროცენტით.

დასავლეთ საქართველოს მევენახეობის მეურნეობებიდან დავალების რეალიზაციასთან ყველაზე ახლოს არიან გეგეჭკორის რაიონის მშრომლები, რომლებმაც გეგმა შეასრულეს 82 პროცენტით, ცხაკაიას რაიონისა — 60,4 პროცენტით, საჩხერისა — 61 პროცენტით.

რთვლის დაწყებიდან კახეთში მოიკრიფა 497,865 ტონა ყურძენი, გეგმა შესრულდა 92,7 პროცენტით. მთლიანად რესპუბლიკაში ღვინის ქარხნებმა მიიღეს 587,344 ტონა ყურძენი, გეგმა შესრულდა 77,2 პროცენტით. (საქინფორმი).

დისციპლინის განმტკიცებით

ტაშკენტი, 20 ოქტომბერი. (საკდესი). უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დღეს აქ გამართულ პლენუმზე განიხილეს, თუ როგორ სრულდება ცენტრალური კომიტეტის წინა პლენუმის დადგენილება პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლისა და აპრილის პლენუმების გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს მითითებების შესაბამისად პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, კადრების შერჩევისა და აღზრდის გაუმჯობესების, მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის საქმეში რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ.

მომხსენებელმა — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ბ. უსმანხოჯაევმა და გამოსულმა ამხანაგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მიმდინარე წლის ივნისში გამართული რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი შემობრუნების ეტაპი გახდა პარტიის მიერ განსაზღვრული ამოცანების განხორციელებაში. მათ დიდი მადლობა გადაუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს ყოველმხრივი მხარდაჭერისა და დახმარებისათვის, რომელსაც ისინი უწევენ რესპუბლიკას პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენაში.

მიუხედავად ამისა, აღინიშნა პლენუმზე, ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც უნდა შესრულდეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სს რესპუბლიკისაგან № 186 სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნების დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ" სსრ კავშირის კანონის მე-60 მუხლის შესაბამისად, დაინიშნოს საქართველოს სს რესპუბლიკისაგან № 186 სოხუმის სასოფლო საარჩევნო ოლქში ეროვნებათა საბჭოს დეპუტატის არჩევნები კვირას, 1984 წლის 18 ნოემბერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ჩერნენკო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი.

მოსკოვი, კრემლი. 1984 წლის 19 ოქტომბერი.

ჩვენს ქვეყანაში

საკდესის კორესპონდენტები გვატყობინებენ

თეთრი ღამეების ქალაქი

ამ ქალაქთა შორის, რომელთაც მდიდარი ისტორია აქვთ, მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. რევოლუციის აკვანი, მსოფლიო და რუსული არქიტექტურის მარგალიტი, კულტურის ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი — ლენინგრადი გმირი ქალაქი, ძეგლი —ქალაქი, უდიდეს ისტორიულ მოვლენათა მოწმე.

„აქ თითოეული ნაბიჯი სულში ბადებს გარდასულ წელთა მოგონებებს"... გაგონდება პოეტის ეს სიტყვები, რომელსაც ... ხაიმძღოლს ისინი, ვინც მოვიდა მოიკას 12-ში — პუშკინის უკანასკნელ ბინაში. ერმიტაჟი, სმოლნი, ნევის პროსპექტი, ისაკისა და ყაზანის ტაძრები...

ლენინგრადელებს უყვართ მშობლიური ქალაქი, ყოველი მათგანი დიდ პატივად თვლიდა თავისუფალ დროს ეწვიოს ... ქალაქის გმირ დამცველთა მემორიალს მშენებლობაზე, რომელიც ...

[illegible]

სურათზე: ტურისტები ...

ხელმარჯვე ოსტატები

[illegible]

დუდინკა— დღევანდელი დღე

იმიერპოლარეთში, ... ენისეის მარჯვენა ნაპირზე, ... მდებარეობს დუდინკა-ტაიმირის (დოლგან-ნენეცების) ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი. დუდინკა ჩრდილოეთის საზღვაო გზის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურია და ნორილსკის სამრეწველო რაიონს ემსახურება. ...

[illegible]

პარტიული ცხოვრება: 80-იანი წლების კომუნისტები

ვინაც ალაშენა

საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მეცამეტე ტრესტის წინ — აკაკი წერეთლის პროსპექტზე „ჟიგული“ გაჩერდა. მეცამეტე ტრესტის მეოთხე სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელმა ზაალ ნაცვლიშვილმა კარი გამოაღო და მისალმების შემდეგ — მე დამავალეს სამშენებლო ობიექტებზე თქვენი წაყვანა, — მითხრა.

— კეთილი, უფრო კარგი... ეხე იგი თქვენ იცნობთ, არა, ედუარდ კაპანაძეს, ვის შესახებაც მინდა დავწერო?

— კარგად ვიცნობ, იგი ჩემთანაც მუშაობდა... ნამდვილად იმსახურებს ქება-დიდებას. გარდა იმისა, რომ კარგი მუშაკია, შესანიშნავი ადამიანიც გახლავთ.

— სწორედ ასე დამიხასიათა ედუარდი ამ დილით პარტიის პირველი მაისის რაიკომის პირველმა მდივანმა მიხეილ წულაძემ, — იგი ჩვენი ბიუროს წევრი, სპეტაკი და პრინციპული კომუნისტია.

— ნამდვილად ასეა, — ამბობს ზაალ ნაცვლიშვილი და განაგრძობს:

— უნივერსიტეტის კომპლექსის მშენებლობაზე ჩემთან ერთად მუშაობდა. ბიოლოგიისა და ბიბლიოთეკის კორპუსებზე მისმა კომპლექსურმა ბრიგადამ დაამონტაჟა რკინაბეტონის კონსტრუქციები. იგი თავისი საქმის ნამდვილი ოსტატია.

მახსოვს, ერთხელ ის-ის იყო სამუშაო დღე დამთავრდა, რომ ცა შავი ღრუბლებით დაიბურა... ქარიც ამოვარდა. ამ დროს ედუარდი უნივერსიტეტის კორპუსის ზემო სართულზე რკინაბეტონის კონსტრუქციას ამონტაჟებდა. მართალია, სამუშაო დღე დამთავრდა, მაგრამ იგი ძირს არ ჩამოსულა. ვიდრე არ მორჩა, საქმეს თავი არ დაანება. განა არ შეეძლო ზედმეტი საათები არ დაეკარგა და მეორე დღეს განეგრძო შედუღება? მაგრამ გამოცდილმა მუშამ კარგად იცოდა: იმ ღამეს რომ არ დაემთავრებინა დამონტაჟება, შეიძლება ქარიშხალს შეერყია და ძირს ჩამოეგდო შეუდუღებელი კონსტრუქცია. ასეთი შემთხვევები გამონაკლისი როდია მისი მუშაობის პრაქტიკაში. იმ საღამოს დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი, სულიერად ამაღლებული ჩამოვიდა ძირს. შუბლზე ალალი ოფლის წვეთები უბრწყინავდა.

მივედი, ხელი მაგრად ჩამოვართვი და გულწრფელად გადავეხვიე. ეს იყო და ეს. მაგრამ როცა თვალებში შევხედე, შევატყვე, დიდად ესიამოვნა, მიხვდა, რომ მისი გარჯა, საქმის ერთგულება დავინახე. ჩვენ გვერდით ახალბედა მშენებლები იდგნენ. შევატყვე, მათზეც იმოქმედა ამ ფაქტმა. ასეა, დიდია მაგალითის ძალა..

ლაპარაკში შეუმჩნევლად გადიოდა დრო და მანძილი. უცებ ზაალმა ანაზდეულად გააჩერა „ჟიგული“ და, მინდა ამ შენობას შეავლოთ თვალიო, მითხრა, მანქანიდან გადმოვედით და მაღლობზე აღმართულ სასახლეს ავხედეთ. მომხიბლავი იყო თეთრად მოქათქათე შენობა.

— ეს ქორწინების სახლი ხუროთმოძღვრობის ნამდვილი შედევრია. ამ საზეიმო სახლის მშენებლებს ხშირად ხვდებიან ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელები, ურჩევენ, არ აჩქარდნენ, სრულყონ პროექტით გათვალისწინებული ყოველი დეტალი.

რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე იმ ობიექტთან მივედით, სადაც ამჟამად ედუარდ კაპანაძე მუშაობს. ეს პარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის მომავალი შენობა გახლავთ, იგი პირველია, რომელიც ინდივიდუალური პროექტით შენდება, შემდეგში კი შეიძლება ტიპობრივ პროექტად იქცეს ყველა რაიკომის შენობისათვის. პროექტი ითვალისწინებს ქართული თაღოვანი ელემენტების გამოყენებას. ამ ობიექტს ამონტაჟებს ამჟამად ედუარდ კაპანაძე. იგი კომპლექსურ ბრიგადას ხელმძღვანელობს და ჩვეული ხალისით და მონდომებით უძღვება საქმეს.

...თითქმის მეოთხედი საუკუნის წინათ მიიღო პირველი ნათლობა ედუარდმა მშენებლობაზე. ეს იყო დიდუბეში, რადიოქარხნის მშენებლობაზე.

— რიგითი მუშა ვიყავი, — იგონებს იგი, — მაგრამ გულით მეწადა ელექტროშემდუღებელი გავმხდარიყავი. ახლაც მახსოვს ჩემი პირველი ოსტატის მიხეილ ზარუმოვის დარიგებები და პრაქტიკული გაკვეთილები. კარგა ხანი გავიდა მას აქეთ. ახლა მე თვითონ ვზრდი კადრებს. როდესაც ვინმე ჩემი პროფესიით ინტერესდება, მესიამოვნება, ახალგაზრდობა მახსენდება, გულით ვეხმარები პროფესიის დაუფლებაში. მახსოვს, რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობისას ჩემთან რიგით მუშად მოვიდა ზაალ თაბუკაშვილი. შევატყვე, მოსწონდა ელექტროშემდუღებლობა. ინტერესით აკვირდებოდა ჩემს მუშაობას. მეც შევეცადე ამ ხელობის ყველა „საიდუმლოება“ გამეზიარებინა მისთვის. თვითონაც ბეჯითობდა. წადილმა თავისი გაიტანა. ზაალ თაბუკაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო ელექტროშემდუღებელი გახდა. იგი ამჟამად მეთოთხმეტე ტრესტის მაღლივშენის ობიექტებზე მუშაობს და თვითონ ზრდის ახალ კადრებს. ასევე ვასილ კაზაკოვიც... კარგი ბიჭი იყო. მომეწონა. ჩემს ბრიგადაში მივიღე, ვასწავლე ელექტროშემდუღებლობა ახლა იგი „თბილისმრეწვმშენის“ მესამე ტრესტის ერთ-ერთი მოწინავე მემონტაჟეა. ხშირად ვხვდებით ერთმანეთს. ჩვენი მეგობრობა გრძელდება. აქვე მინდა გავიხსენო ჩემი დაღესტნელი მეგობარი სერგო ბახტიაროვიც, მან, როგორც ელექტროშემდუღებელმა მემონტაჟემ, ისე ისახელა თავი, რომ მშენებლობის სამინისტროს საპატიო სიგელიც კი დაიმსახურა. მე თვითონ გამოვცადე მეგობრობა და ვიცი, თუ რა კეთილ გავლენას ახდენს ოსტატის მამობრივი თუ ძმური დარიგება ახალგაზრდაზე. ამიტომაც არ ვიშურებდი მათთვის არაფერს...

ედუარდ კაპანაძეს მრავალ სამშენებლო ობიექტზე უმუშავია. მაგრამ მათ შორის დაუვიწყარ მოგონებად შემორჩენია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის შენობის აღდგენა-რეკონსტრუქციაზე მუშაობის დღეები..

— მარტო მე კი არა, — ამბობს იგი, — ყველა მშენებელი, ინჟინრით დაწყებული და რიგითი მუშით დამთავრებული — ერთი აზრით ვიყავით გამსჭვალულნი — სანიმუშოდ დაგვემთავრებინა ქართული კულტურის ერთ-ერთი დიდი ტაძრის — ოპერისა და ბალეტის თეატრის აღდგენა-რეკონსტრუქცია... კვეხნად არ ჩამომართვათ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ბრიგადა ამ სასახელო ეროვნული საქმის ავანგარდში იდგა.

დაუფასდა კიდეც ეს გარჯა. იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დააჯილდოვეს. სხვა ჯილდოებიც მაქვს მიღებული, შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერიცა ვარ.

კაპანაძის ჩვიდმეტკაციანი ბრიგადა ერთსულოვნებითა და მონოლითურობით გამოირჩევა. ერთმანეთს ერთგულად უდგანან მხარში. და თუ ბრიგადირს საკუთარ თავზე ლაპარაკი ეძნელება, სამაგიეროდ თავის მეგობრებზე სიამოვნებით და გატაცებით საუბრობს.

— ყოველი სამშენებლო ობიექტის სული და გული, — ამბობს იგი, — მოგეხსენებათ, კოშკურა ამწევს მემანქანეა. ჩვენთანაც ასეა. ამ რთულ აგრეგატს კარგად დაოსტატებული ელგუჯა ინაშვილი მართავს. ედუარდისავე ნაამბობიდან შევიტყვე, რომ ელგუჯას კოშკურა ამწეზე მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება ჰქონია. იგი უკვე თექვსმეტი წელიწადია ამ საქმეს ემსახურება და, რაც მთავარია, კარგად ფლობს მემანქანის რთულ ხელოვნებას.

თურმე ერთხელ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის კორპუსის მშენებლობაზე ქარხნიდან მოტანილი რკინაბეტონის 18-ტონიანი კოჭი წუნდებული აღმოჩენილა — დამონტაჟებისას გაბზარულა. საჭირო გახდარა მისი ჩამოხსნა, მაგრამ ნახევრად დამონტაჟებული კოჭის მოხსნა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ელგუჯას გაურისკავს და ისე ოსტატურად და დაუძაბავად მოუხსნია კოჭი, რომ გარეშე თვალს ყველაფერი ძალზე იოლად მოეჩვენებოდა.

ედუარდს არც ბრიგადის სხვა მოწინავე მშრომელები ოსტატი პავლიკო ხანთაძე, კალატოზი ომარ ბერიკაშვილი და სხვები გამორჩენია. სწორედ მათი იმედი აქვს, როდესაც ბრიგადის ვალდებულებებზე საუბრობს: მათ ობიექტის ვადამდე ჩაბარება ჰქონიათ გადაწყვეტილი...

ვუსმენდი ამ გამრჯე ადამიანს, სიყვარულითა და ერთგვარი სიამაყითაც რომ საუბრობდა თავის თბილ ოჯახზე, ქალ-ვაჟზე და უნებურად ასეთი აზრი ამეკვიატა: რა იქნება, რომ აღვადგინოთ ძველი ქართული ტრადიცია და ახალაგებული შენობის კედელზე წაგვეწერა მისი აღმშენებლის გვარი? ეს ხომ სიამაყესაც მოგვგვრიდა და პასუხისმგებლობასაც უფრო გაუძლიერებდა მშენებელს.

შ. შაველაშვილი.

ტექნიკური პროგრესი დროის მოთხოვნაა

აქ მზადდება ქართული აბრეშუმი

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში დამზადებული მრავალფეროვანი ქსოვილები მოსწონთ არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ ქვეყანაში და საზღვარგარეთაც. ქართული ნატურალური აბრეშუმი თავისი ჰაეროვნებით, ხლართების სიმსუბუქით, დამუშავებით, მოჩითვით თანამედროვე საუკეთესო სტანდარტების დონეზეა. აქაური მშრომელები ცდილობენ კარგ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს მიაღწიონ და ამრავლონ წარმატებები.

როგორც გაერთიანების დირექტორმა ზაურ იოსელიანმა გვითხრა, წლის ცხრა თვეში მოპოვებული შედეგები დამაჯერებელია. გაერთიანებაში გეგმის გადამეტებით 731 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადდა, ზეგეგმით რეალიზებულია 817 ათასი მანეთის ნაწარმი, შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა შესრულდა 103,4 პროცენტით. აქ შეურყეველი ყურადღება ეთმობა ახალი სახეობის ნაწარმის ათვისებას. მიმდინარე წლის ცხრა თვეში ათვისებულია 11 ახალი ქსოვილი, მაშინ, როდესაც გაერთიანებაში სულ 25 სახეობის ნაწარმი მზადდება. ჩვენს მაღაზიებს შეემატა ნაირფერი დეკორატიული და საბავშვო ქსოვილები.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა პოლიეთერის, ბამბისა და ლავსანის ნართისაგან ახალი ქსოვილების დასამზადებლად. გაერთიანების დესინატორებმა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ასორტიმენტის საკავშირო ინსტიტუტში წარადგინეს ექვსი ახალი სტრუქტურის ქსოვილი, მათ შორის „გოფრეს“ ტიპისა და საკაბე-საკოსტიუმე ქსოვილები. აქაური დესინატორები, მხატვრები, კოლორისტები ცდილობენ ათვისონ ისეთი ქსოვილები, რომლებიც თანამედროვე მოდას შეეფერება და მომხმარებელთა მოწონებას იმსახურებს.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ზრუნვა გაერთიანების მუშაკთა ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. ამ საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხარისხის მართვის კომპლექსურ სისტემას. იგი პროდუქციის ხარისხს მართავს მისი დაგეგმარების, წარმოებისა და ექსპლოატაციის დროს, სრულყოფს წარმოების ორგანიზაციას, რათა დამზადდეს დაგეგმილი რაოდენობის ხარისხიანი პროდუქცია, კოორდინაციას უწევს ფუნქციურ განყოფილებებს.

სექტემბერში გაერთიანებაში განხორციელდა ხარისხის მართვის სისტემის ხელმეორედ რეგისტრაცია, რაც ნიშნავს სისტემის მოქმედების შემოწმებისა და ეფექტიანობის გაზრდის კონტროლს. ამჟამად მიმდინარეობს ხარისხის მართვის სრულყოფა, რისთვისაც შედგენილია სპეციალური ტექნიკური დავალება. სისტემატურად ხორციელდება ოპერატიული ღონისძიებანი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის მართვის სამოქმედო ბაზას წარმოადგენს საწარმოო სტანდარტები, რომლებმაც უნდა უპასუხონ ხარისხის მართვის ყველა ფუნქციას. ხშირად ხდება სტანდარტების გადასინჯვა, მათში ცვლილებების შეტანა თანამედროვე ტექნიკა-ტექნოლოგიის მიღწევათა გათვალისწინებით. ახალი საწარმოო სტანდარტების დამუშავებისას უწინარესად გადასინჯა ისეთი საწარმოო სტანდარტები, რომლებიც უშუალოდ მოქმედებს გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე: მაგალითად, შემოსული ნედლეულისა და დამხმარე მასალების კონტროლი; ქსელების განმსაზღვრელი სტანდარტი, ხარისხის დღის მოწყობა, სოცშეჯიბრების ორგანიზაცია მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოსაშვებად. დნეპროპეტროვსკის მხარის წარმოების გამოცდილების მაგალითისამებრ დაინერგა ახალი საწარმოო სტანდარტები მატერიალური და ფინანსური რესურსების მომჭირნე ხარჯვისათვის.

გაერთიანებას მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული სავაჭრო ორგანიზაციებთან. პროდუქციაზე მომხმარებელთა მოთხოვნის შესწავლის მიზნით ეწყობა მორიგეობა საფირმო მაღაზიებში, ხოლო მომხმარებელთა შენიშვნები და წინადადებები განიხილება ხარისხის დღეზე. განხორციელდა ანკეტური გამოკითხვაც. გამოთქმულ შენიშვნებს შემდგომ მუშაობაშიც ითვალისწინებენ. ყოველი თვის ბოლოს ხდება მომხმარებლისაგან რეკლამირებული პროდუქციის ანალიზი, ირკვევა მისი დაბალი ხარისხიანობის მიზეზები, დგინდება რაოდენობა დეფექტების მიხედვით ცალკეულ საამქროებში, შემდეგ კი ეს საკითხი განიხილება ხარისხის დღის გაფართოებულ თათბირებზე.

წარმატებების მოპოვებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოთა ტექნიკურ განახლებას, ფიზიკურად და მორალურად მოძველებული მანქანა-დანადგარების შეცვლას ახალი დიდმწარმოებლური მოწყობილობით. ჟაკარდული და მეთაური წარმოების საქსოვ უბნებზე დღეისათვის მოქმედებს 102 ახალი საქსოვი დანადგარი. ეს მანქანები პირველად დამონტაჟდა გაერთიანებაში. პირველ ხანებში შეიმჩნეოდა შეფერხებები მანქანების ათვისებაში, რადგან კვალიფიციური სპეციალისტები არ იყვნენ. იმისათვის, რომ მათ სათანადო სპეციალიზაცია მიეღოთ, მომუშავეთა ერთი ნაწილი გაიგზავნა ქალაქ მოგილიოვის აბრეშუმის კომბინატში, ასევე გამოცდილი სპეციალისტები მოწვეულნი იყვნენ თბილისში. მათ მოამზადეს ქარგლები, მქსოველები, სარემონტო ბრიგადის წევრები.

აღსანიშნავია, რომ ახალ მანქანებზე ათვისებულია ნატურალური აბრეშუმის ქსოვილების გამოშვება, რაც მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს. დღეისათვის ჟაკარდული ქსოვილების ფაბრიკაში დამონტაჟების პროცესშია 26 ცალი დიდმწარმოებლური საქსოვი მანქანა. ასევე მოძველებული მცირემწარმოებლური საქსელე მანქანები შეიცვლება „ტექსტიმას“ ფირმის ახალი საქსელე მანქანებით. ჟაკარდული ქსოვილების ფაბრიკაში ამოქმედდა ახალი გასახამებელი მანქანა, ხოლო გაერთიანების მეთაურ საწარმოში — სხვევი მანქანები. მალე ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკაში მოძველებული გასახამებელი მანქანებიც ახლით შეიცვლება.

შრომის ანაზღაურებისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმით მომუშავეთა რაოდენობა გაერთიანებაში თანდათან იზრდება. დღეისათვის შრომის ახალი მეთოდით საქმიანობს 82 ბრიგადა, რომლებიც 1007 კაცს აერთიანებს. ეს კი მუშათა მთლიანი რაოდენობის 52,4 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული ბრიგადებიდან 31 კომპლექსური, ხოლო 51 სპეციალიზებულია.

შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის დანერგვით გაერთიანებაში შრომის ნაყოფიერება 1982 წელთან შედარებით 5,7 პროცენტით გაიზარდა, პირობითად სამუშაოდან განთავისუფლდა 19 კაცი, მუშათა დენადობა ბრიგადებში შემცირდა ორჯერ, სამუშაო დროის დანაკარგები კი 38 პროცენტით. სწორედ ბრიგადული მეთოდით გახდა შესაძლებელი ის, რომ გაერთიანებაში 22 ათასი მანეთი დაიზოგა. რაც მთავარია, ყოველ უბანზე განმტკიცდა შრომისა და საწარმოო დისციპლინა, ამავე დროს ამაღლდა თითოეულის პირადი პასუხისმგებლობა.

როგორც ცნობილია, გაერთიანების ქსოვილები იგზავნება საბჭოთა კავშირის სამასამდე სავაჭრო ორგანიზაციაში, ათ მოკავშირე რესპუბლიკაში. ამასთან ქართველი სპეციალისტები სისტემატურად მონაწილეობენ საკავშირო და რესპუბლიკური ვაჭრობის სამინისტროების მიერ მოწყობილ გამოფენა-გაყიდვაში.

აქაური მხატვრები, დესინატორები ყოველწლიურად ახალი პროგრამის შედგენისას მაქსიმალურად ითვალისწინებენ [illegible] სხვა სავაჭრო ორგანიზაც[illegible] მოთხოვნებს, შენიშვნებს.

მომხმარებელთა უმრავლესობამ ალბათ კარგად იცის, რომ თბილისში რუსთაველის პროსპექტზე მდებარე „თბილისტანსაცმელვაჭრობის“ 41-ე მაღაზიაში ნაირფერი აბრეშუმის ქსოვილები იყიდება. ამ მაღაზიაში ხშირად ეწყობა ახალი სახეობის პროდუქციისა და განსაკუთრებით თანამედროვე ტიპის ქსოვილების გამოფენა-გაყიდვა. აქვეა შენიშვნებისა და წინადადებების სპეციალური ჟურნალი, რომელიც გაერთიანების მშრომელებს ეხმარება გაიგონ, თუ რომელი ქსოვილი მოსწონს მომხმარებელს, რის შეცვლა აინტერესებთ, რა არ მოსწონთ. ყოველივე ამას გაერთიანების დესინატორები, მხატვრები, კოლორისტები თავიანთ მუშაობაში ითვალისწინებენ და ასე იქმნება ქსოვილები, რომლებსაც უამრავი მყიდველი ჰყავს.

წარმატებებს აქ მომუშავე ადამიანები განაპირობებენ. ყველა იცნობს გაერთიანების მეთაურ საწარმოში მომუშავე პნევმატური უბნის უფროსს ვასილ გეგეშიძეს. იგი კვლავ დაუცხრომელი ენერგიით შრომობს და მისი ბრიგადა მუდამ მოწინავეთა რიგებშია. მისაბაძ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს აღწევს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც რომან ყიფიშვილი უდგას სათავეში. გაერთიანებაში ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავისა და სტახანოვური მოძრაობის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, მქსოველები ლ. კრიხელი, ც. გაფრინდაშვილი, დ. ბაბია, ზ. გვასალია და სხვები ყოველდღიურ ნორმას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

სასახელო შრომით გამორჩეულებს აღწევენ ჟაკარდული ფაბრიკის გიორგი ღიღებაშვილის ბრიგადა, მქსოველები ე. მასხლიშვილი, ე. კაპანაძე, ვ. ვაშაყმაძე და სხვები, რომლებიც უკვე 1986 წლის იანვარში შრომობენ. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი ყველაფერს ღონობს მ[illegible]

ლ. ქინქლაძე.

მხარი დაუჭირეს კარგ ინიციატივას

ბჭობენ აღრიცხვის მუშაკები

ეკონომიკური სამსახურის მუშაკებს და მათ შორის აღრიცხვის მუშაკებს [illegible] დი აქვთ საკამათო და სამსჯელო. ამიტომაც მოწონებულ იქნა წინადადება მხარი დაეჭირათ სახალხო დეპუტატთა წყალტუბოს საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგის ამხ. ნ. კილაძის ინიციატივისათვის ბუღალტერ-ეკონომისტთა კლუბის ჩამოყალიბების შესახებ. ნ. კილაძეს მხარი დაუჭირეს პარტიის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, იმ დიალოგების საშუალებით, ბუღალტრების კლუბში რომ იმართება, ხელი ეწყობა აღრიცხვის მუშაკთა თეორიული დონის ამაღლებას, სიახლეებისაკენ ლტოლვას და მოწინავე პრაქტიკის მუშაკთა გამოცდილების განზოგადებას.

ახლა წყალტუბოში ბუღალტრების კლუბი მოქმედებს. აქვთ დებულება, სამუშაო გეგმა, განხორციელებულ ღონისძიებათა აღრიცხვა. იხილება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის აქტუალური საკითხები. იწვევენ ლექტორებს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებიდან. კლუბის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ ადგილობრივი სამეურნეო და აღრიცხვის მუშაკები. კლუბის გამგეობას (თავმჯდომარე — წყალტუბოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ქორქაშვილი) მჭიდრო საქმიანი კავშირი აქვს დამყარებული საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს [illegible] აღრიცხვისა და ანგარიშების განყოფილებასთან.

ბ. ბიბვავა,
დოცენტი.

ბათუმური ტრანსფორმატორები

რა მდგომარეობაა ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანაში, როგორ ასრულებს მისი კოლექტივი სახელმწიფო გეგმებს? დავიწყებ იმით, რომ საწარმოში ათასზე მეტი კაცი მუშაობს. მათ წლეულს 18,5 მილიონი მანეთის სხვადასხვა სახეობის ტრანსფორმატორები უნდა გამოუშვან. ამჟამად, წარმოების საერთო მოცულობაში სახელმწიფო ხარისხისნიშნიანი პროდუქცია 88 პროცენტს შეადგენს. ეს ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია. ალბათ, ამანაც განაპირობა ის, რომ ბათუმური ტრანსფორმატორები 40 ქვეყანაში იგზავნება, მათ შორის ეკონომიკურად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბათუმის ქარხანა ერთადერთია კავშირის მასშტაბით, რომელიც ამზადებს ძალოვან, ლაბორატორიულ და მცირე სიმძლავრის 18 სხვადასხვა დასახელების და დანიშნულების ტრანსფორმატორებს.

ასეთი წარმატება თავისთავად არ მოსულა. იგი მოპოვებულია პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული დახმარებით, მთელი კოლექტივის ერთსულოვნებითა და თავდადებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტივის ეკონომიკური მდგომარეობა ბევრად უკეთესი იქნებოდა, მთელი რიგი გადაუწყვეტელი პრობლემები რომ არა.

მიმდინარე ხუთწლედის მთავარი მიზანია ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის გაუმჯობესება, ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვება.

— ამ მხრივ მნიშვნელოვანი წარმატებანი გვაქვს, — გვითხრა ქარხნის დირექტორმა ა. ჯიჯავაძემ. — წელს უკვე ავითვისეთ სამი სახეობის პროდუქცია და სერიულად ვუშვებთ მათ. გარდა ამისა, განვახორციელეთ რამდენიმე ტიპის ტრანსფორმატორების მოდერნიზაცია. ახალი ტიპის ლაბორატორიული ტრანსფორმატორის ათვისების შედეგად სახელმწიფოს დიდძალი სახსრები დავუზოგეთ. თუ მისი წინამორბედის ხანგრძლივობა 3-4 წელიწადს შეადგენდა, ახალი ტიპისას 12 წელი შეუძლია იმსახუროს.

წლეულს ქარხანაში მიმდინარეობს ექსპერიმენტი. მისი მიზანია საწარმომ იმუშაოს უკეთესი საბოლოო შედეგებისათვის, გამოუშვას საუკეთესო ხარისხის პროდუქცია, შეასრულოს მიწოდების ვალდებულება.

1984 წლის 8 თვის გეგმა შესრულდა 102,1 პროცენტით. გეგმის გადამეტებით დამზადდა 200 ათასი მანეთის სხვადასხვა სახეობის ტრანსფორმატორები. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ნომენკლატურის დავალება მთლიანად არ შესრულებულა.

შრომის ანაზღაურების ახალმა პრინციპმა შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. წინა ორ კვარტალში ქარხნის ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა პრემიის სახით დამატებით მიიღო სტაბილური ხელფასის 50 პროცენტი.

ქარხანა მოთავსებულია ქალაქის გარეუბანში ყაზარმული ტიპის ამორტიზებულ შენობაში. ამის ბრალია, რომ საწარმოში ჯერ კიდევ დიდია ხელის შრომის წილი, იგი 35 პროცენტს შეადგენს. გადაწყვეტილია განხორციელდეს ქარხნის რეკონსტრუქცია, რისთვისაც გამოყოფილია 3,4 მილიონი მანეთი. რეკონსტრუქციის შემდეგ ქარხანას მოემატება 7.000 კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართობი. კარგა ხანია მშენებლები (№ 5 სამშენებლო ტრესტი) საქმეს შეუდგნენ. მაგრამ ჯერჯერობით გაკეთებულია მხოლოდ ნახევარი. დრო კი იწურება. გეგმით ახალი კორპუსები გაისად უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

ქარხანაში უნგრეთიდან მიიღეს ტრანსფორმატორების გაცლენთისათვის გათვალისწინებული ტექნიკური ხაზი, რომელიც მშენებარე კორპუსში უნდა დამონტაჟდეს. ხაზის ასაწყობად უნგრელი სპეციალისტები ზაფხულში უნდა ჩამოსულიყვნენ, მაგრამ რაკი ახალი საამქრო მზად არ იყო, მათი ჩამოსვლის ვადამ გადაიწია. ეს კი, თავისთავად, უარყოფითად მოქმედებს საერთო საქმეზე. ქარხანამ გეგმით გაისად უნდა გამოუშვას 1,5 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. მატება ნავარაუდევია ახალი ხაზისა და ახალი ტრანსფორმატორების გამოშვების ხარჯზე. მშენებლებმა სიტყვა დროულად თუ არ შეასრულეს, ქარხანას გაუჭირდება გეგმის შესრულება. მშენებლები თავის მხრივ იმიზეზებენ იმას, რომ ტუსთავის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხანა დაგვიანებით გზავნის საჭირო სამშენებლო მასალებს.

მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში ქარხანაში პროდუქციის გამოშვება 14 პროცენტით გაიზარდა. ეს ძირითადად მოხდა შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად. ახალი პერსპექტივებია დასახული მეთორმეტე ხუთწლედისათვის. წარმოების მოცულობა მიმდინარე წელთან შედარებით გაიზრდება 8,5 მილიონი მანეთით.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

აბაშელი მეცხოველეების წარმატების საფუძველია საკვები ბაზისათვის მუდმივი ზრუნვა. ამ დღეებში რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების მეურნეობებში წარმოებს სიმინდის მექანიზებული აღება, რომელსაც დაახლოებით 6 ათასი ჰექტარი უკავია. მეურნეობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს აწარმოონ სულ ცოტა 14.500 ტონა მარცვლეული. კეთილარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსში, ხუჯუნის ეთერზეთოვან საბჭოთა მეურნეობაში საშუალოდ ჰექტარზე 50 ცენტნერ სიმინდს იღებენ.

რაიონში უკვე დამზადდა 85 ათასი ტონა სილოსი — გეგმით გათვალისწინებულზე 7 ათასი ტონით მეტი, 12 ათასი ტონა სენაჟი, 6 ათასი ტონა თივა.

სურათებზე: კომკავშირული საგზურით მივიდა კეთილარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომპლექსში მამონა ოდიშარია. იგი 70 სულ მოზარდეულს უვლის; მეურნეობა-კომპლექსში კომბაინებით იღებენ მოსავალს.

ი. მოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს დამზადების სამინისტრომ მთლიანი პროდუქციის გამოშვების ხუთწლედის ოთხი წლის დავალება უკვე 1 ოქტომბრისათვის შეასრულა

მაღალი მიჯნების საფუძველი

ბოლო წლებში წარმოების ეფექტიანობის გაზრდისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ გაწეული დიდი მუშაობის შედეგად დაჩქარებით ვითარდება საწარმოო ძალები, ოპტიმალურად გამოიყენება ბუნებრივი რესურსები. ამის შედეგად გაორკეცდა ეკონომიკური პოტენციალი, ორჯერ და მეტად გაიზარდა ეროვნული შემოსავალი.

რესპუბლიკის ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის დინამიკაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვთ საქართველოს დამზადების სამინისტროს სისტემის საწარმოებს. ამას, უწინარესად, თავდადებული მუშაობისა და დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების მეოხებით აღწევენ.

აქ პრაქტიკული მუშაობა შეჯერებულია სასურსათო პროგრამასთან. ხორციელდება საგანგებო ღონისძიებები წარმოების ინტენსიფიკაციისა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის. სამინისტროს ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრშია ახალი საწარმოების მშენებლობა და არსებულის განახლება; საწარმოებში მოწინავე ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა; შრომატევადი და საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია; ნედლეულის, მასალების და საწვავ-ენერგეტიკული რესურსების დაზოგვა, ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვა.

კომბინირებული საკვების ხარისხის გაუმჯობესებისა და გამოშვებული პროდუქციის მოცულობის გადიდების თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად აშენდა თანამედროვე ტიპის მძლავრი კომბინირებული საკვების ქარხნები გორში, კაჭრეთში, თამარისში, აბაშაში, მარნეულსა და გამარჯვებაში, რომელთა საერთო მწარმოებლობა დღე-ღამეში 2.555 ტონას შეადგენს.

რეკონსტრუირებულია ქუთაისის, მახარაძისა და ახალციხის კომბინირებული საკვების ქარხნები, რომელთა სიმძლავრე დღე-ღამეში 600 ტონით გადიდდა. კაპიტალურად შეკეთდა და ტექნიკურად განახლდა არსებული კომბინირებული საკვების საწარმოები. ცილოვანი ნედლეულის დეფიციტის შემცირების მიზნით ნავთლუღის პურპროდუქტების კომბინატთან აშენდა წელიწადში 10 ათასი ტონა მწარმოებლობის კარბამიდის კონცენტრატის საამქრო, რომელიც ერთ-ერთი პირველია საბჭოთა კავშირში და წელიწადში 10 ათას ტონა დეფიციტურ შროტს ზოგავს. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სამეურნეობათაშორისო კომბინირებული საკვების საამქროების ცილოვანი ნედლეულით უზრუნველყოფის მიზნით მოეწყო ცილოვან-ვიტამინიანი დანამატის წარმოება წელიწადში 8 ათასი ტონის მოცულობით. ეს 40 ათასი ტონა კომბინირებული საკვების წარმოების საშუალებას იძლევა.

ამ ღონისძიებათა წყალობით მკვეთრად გაიზარდა კომბინირებული საკვების წარმოება და გაუმჯობესდა მისი ხარისხი. თუ 1972 წელს წარმოებული იყო 14 ასორტიმენტის 495 ათასი ტონა კომბინირებული საკვები, შარშან ეს პროდუქცია აწარმოეს 936 ათასი ტონა (24 ასორტიმენტის). წლეულს კი გამოუშვებენ მილიონ ტონაზე მეტს.

საკუთარი წარმოების ფქვილით რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით დიდი ყურადღება ეთმობა ფქვილის მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, დაფასოებული ფქვილისა და ბურღულეულის წარმოების გადიდებას. გორში აშენდა დღე-ღამეში 500 ტონის სიმძლავრის, ხოლო კაჭრეთში 245 ტონის სიმძლავრის თანამედროვე ავტომატიზებული წისქვილები, რეკონსტრუირებულია მახარაძის, წნორის, სამტრედიის, თბილისის, ქუთაისისა და სოხუმის წისქვილ-ქარხნები. აშენდა ფქვილისა და ბურღულეულის დამფასოებელი ავტომატიზებული საამქროები თბილისისა და გორის პურპროდუქტების კომბინატებში, თბილისის წისქვილქარხანასა და თბილისის სარეალიზაციო ბაზაში; სისტემის ყველა წისქვილქარხანაში მცირე მწარმოებლობის, მოძველებული მანქანა-დანადგარები შეიცვალა თანამედროვე, უფრო მძლავრი მანქანა-დანადგარებით.

ფართოდ დაინერგა ფქვილის უტაროდ შენახვა და მომხმარებლისათვის მიწოდება. ამან ხელი შეუწყო გამოშვებული ფქვილის რაოდენობის ზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას. 1972 წელს წარმოებული იყო 577 ათასი ტონა ფქვილი, აქედან ხარისხიანი 532 ათასი ტონა, შარშან გაცილებით უკეთესი შედეგი იქნა მიღებული. ამ პერიოდში დაფასოებული ფქვილის რაოდენობა გაიზარდა 7 ათასი ტონიდან 28 ათას ტონამდე. დაფასოებული ბურღულეულის რაოდენობა კი შესაბამისად ათასი ტონიდან 6 ათას ტონამდე. ამან სამინისტროს საშუალება მისცა მთლიანად დაეკმაყოფილებინა თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის მოთხოვნილება.

სამინისტრომ გაითვალისწინა რესპუბლიკის მოთხოვნილება სიმინდის ფქვილზე და ნავთლუღის პურპროდუქტების კომბინატში აშენა წისქვილი, რომელიც წელიწადში 15 ათას ტონა სიმინდს ფქვავს.

შრომატევადი და საწარმოო პროცესების მექანიზაციის მიზნით დიდი ყურადღება ეთმობა ფქვილის უტაროდ შენახვას და გადაზიდვას. თუ 1979 წელს წელიწადში უტაროდ გადაიტვირთებოდა 42 ათასი ტონა ფქვილი, შარშან გადაიზიდა 238 ათასი ტონა და წლიურმა ეკონომიკურმა ეფექტმა 4 მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა.

მკვეთრად გაიზარდა პურის მიმღები საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აშენდა ახალი საწყობები და მძლავრი ავტომატიზებული ელევატორები. ყურადღება დაეთმო ელევატორების მშენებლობას, ბოლო 12 წლის მანძილზე ელევატორების საერთო ტევადობა საგრძნობლად გაიზარდა. ამ პერიოდში კაპიტალური დაბანდების მოცულობა 14.604 ათასი მანეთით გადიდდა. თითქმის ასი მილიონი მანეთით მოიმატა ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულებამ. მკვეთრად გაიზარდა მთლიანი პროდუქციის მოცულობა. თუ 1972 წელს წარმოებული იყო 137 მილიონი მანეთის პროდუქცია, შარშან 293 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. გამომთვლელი მანქანების ფართოდ გამოყენების, სისტემის საწარმოების მართვის გაუმჯობესების, საბუღალტრო და ოპერატიული აღრიცხვის მექანიზაციის მიზნით 1983 წელს ნავთლუღის სარეალიზაციო ბაზაში აშენდა სამინისტროს საინფორმაციო-გამომთვლელი ცენტრი, სადაც დაიდგა თანამედროვე მძლავრი გამომთვლელი მანქანა „ეს-1033“.

მიმდინარე ხუთწლედში სამინისტროში და სისტემის ყველა საწარმოში შემუშავებულია და ხორციელდება ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების, დაგეგმვის გაუმჯობესების და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად. 1982 წლის პირველი იანვრიდან სისტემის ყველა საწარმო გადაყვანილია ნორმატიული წმინდა პროდუქციის მაჩვენებლის მიხედვით მუშაობაზე. ფართო გასაქანი მიეცა შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადულ ფორმას. ამჟამად ამ ტიპის ბრიგადებში გაერთიანებულია მუშების 90 პროცენტი. ამ ღონისძიებამ შრომის ნაყოფიერება გაზარდა 6 პროცენტით და საშუალო გამომუშავება 5,1 პროცენტით.

სამინისტროს საწარმოებს დიდი ეკონომიკური ეფექტი მისცა ვაგონების მოცდენის შემცირებამ, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მექანიზაციამ და მძიმე ხელის შრომის ლიკვიდაციამ. 1982 წელს ფოთის წისქვილქარხანაში მოეწყო გემებიდან უშუალოდ ელევატორში მარცვლეულის მიღება. შარშან კი ბორჯომის ქარხანამ, რომელიც ცეხვილ ფქვილს აწარმოებდა, ხარისხიანი ფქვილის გამოშვება დაიწყო, ხოლო კაჭრეთის, გორის და ქუთაისის პურპროდუქტების კომბინატების წისქვილებში მოეწყო ცეხვილი ფქვილის წარმოება. ამ ღონისძიებების განხორციელების შედეგად წელიწადში გამოთავისუფლდა 2.500 ვაგონი და წლიურმა ეკონომიკურმა ეფექტმა 950 ათას მანეთს გადააჭარბა. სისტემის ყველა საწარმოში ფქვილის გადაზიდვა და შენახვა ხდება უტაროდ. მარცვლეულის და ქატოს გადაზიდვა ხორციელდება მარცვალმზიდავი ვაგონებით. ამ წესით შარშან გადაიზიდა 550 ათასი ტონა მარცვლეული და 238 ათასი ტონა ფქვილი, რის შედეგადაც მძიმე ხელის შრომისაგან გამოთავისუფლდა 150-ზე მეტი კაცი და წლიურმა ეკონომიკურმა ეფექტმა 6,5 მილიონი მანეთი შეადგინა.

შრომატევადი პროცესების მექანიზაციაში აქტიურად მონაწილეობენ რაციონალიზატორები. შარშან მათი 216 რაციონალიზატორული წინადადების დანერგვით მიიღეს 412 ათასი მანეთი ეკონომია, რისთვისაც სამინისტრო დაჯილდოვდა საკავშირო დამზადების სამინისტროს საპატიო დიპლომით და ფულადი პრემიით. ასეთივე ჯილდო დაიმსახურა ქუთაისის პურპროდუქტების კომბინატმა.

სისტემის საწარმოებში დღითი დღე მეტს ზრუნავენ ნედლეულის, მასალების და საწვავ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიური ხარჯვისათვის. ბოლო სამ წელიწადში მათ დაზოგეს 43 ათასი ტონა პურპროდუქტი, 853 ტონა ღუმლის საწვავი, 460 ტონა დიზელის საწვავი, 58 ტონა ბენზინი, 10,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია. მეორე ხარისხის ფქვილის შემცირების ხარჯზე, რომელიც რესპუბლიკაში არ სარგებლობს დიდი მოთხოვნილებით, გამოშვებულია 62 ათასი ტონა მაღალი ხარისხის ფქვილი და ეკონომიკურმა ეფექტმა 1,5 მილიონი მანეთი შეადგინა.

ბოლო ხანს სამინისტროს ეკონომიკური განმტკიცების სამსახურში ჩადგა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენები. ამჟამად კომბინირებული საკვების მრეწველობის საწარმოები იყენებენ დაახლოებით 20 დასახელების ნარჩენს. სამ წელიწადში უნარჩენო წარმოებამ რესპუბლიკის მეცხოველეობას დამატებით მიაწოდა 53 ათასი ტონა კომბინირებული საკვები, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა დამატებით წარმოებულიყო 5 ათასი ტონა ხორცი. სამინისტროში შრომის ნაყოფიერების ზრდის ამოცანის გადაწყვეტისას, ბუნებრივია, მთავარ ყურადღებას უთმობენ მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის გაუმჯობესებას, საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღებისა და სასადილოების მშენებლობას.

ჯერ კიდევ სამი წლის წინათ შესრულდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითება თბილისში განლაგებული სარდაფებიდან და ბარაკების ტიპის საცხოვრებელი სახლებიდან მუშა-მოსამსახურეთა გამოყვანისა და კეთილმოწყობილ ბინებში მათი შესახლების შესახებ. ბევრ საწარმოში დაინერგა უფასო და შეღავათიანი კვება. მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას მოწმობს ის, რომ მათმა საშუალო თვიურმა ხელფასმა მიმდინარე წლის 9 თვეში 204 მანეთი შეადგინა 1980 წლის 171 მანეთის ნაცვლად. ძირითადად სისტემის მუშა-მოსამსახურეთა მომარაგების ზრდება სამინისტროს დამხმარე მეურნეობებში წარმოებული ხორცი.

ზემოხსენებულმა ღონისძიებებმა, ეკონომიკური განვითარების ინტენსიური ფაქტორების არსებული რეზერვების უფრო სრულად გამოყენებამ ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის გამოშვების გადიდებას, მისი თვითღირებულების შემცირებას.

სამინისტროს საწარმოებმა წარმატებით შეასრულეს მეთერთმეტე ხუთწლედის 3 წლის და წლევანდელი 9 თვის დავალებები. მთლიანი პროდუქციის გამოშვების ხუთწლედის ოთხი წლის დავალება რეალიზებულია 1 ოქტომბრისათვის.

შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით გაიზარდა 11,2 პროცენტით, ნაცვლად სოციალისტური ვალდებულებით ნაკისრი 3 პროცენტის და დავალების 1 პროცენტისა. სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 0,65 პროცენტით ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 0,5 პროცენტისა.

ეს შედეგები იმის საფუძველს იძლევა, რომ სამინისტროს კოლექტივმა უფრო რთული ამოცანები, მაღალი მიჯნები დაისახოს. მისი საზრუნავიც ახლა ის არის, თუ როგორ მოაგვაროს უკეთ, უფრო ეფექტიანად მუშაობა ყოველ კონკრეტულ უბანზე. ეს მით უფრო აფიქრებთ, რომ მათი ყველა საწარმო გეგმაზომიერად როდი მუშაობს, ზოგან შემცირდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი; არის ვაგონების ზენორმატიული მოცდენის, კომბინირებული საკვების ხარისხის დაქვეითების ცალკეული შემთხვევები. მეტი საფიქრალის გამოჩენა მართებთ სოციალისტური საკუთრების დასაცავად.

ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების არსებით რეზერვად დამზადების სამინისტროში მიაჩნიათ ის, რომ უფრო თანამედროვე დონით წარმოების მაქსიმალური მატების უზრუნველყოფის რეზერვები, დარაზმონ ადამიანები დამკვრელური მუშაობისათვის.

კ. ვასაძე,

არქეოლოგთა შეკრება დუშეთში

უცხოეთში

ფაქტები მოვლენები

საკლდისის განცხადება

გენერალური ასამბლეის 39-ე სესიაზე

მხარს უჭერენ საბჭოთა ინიციატივებს

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 39-ე სესიის პირველი კომიტეტის სხდომებზე გრძელდება პოლიტიკური საკითხებისა და უშიშროების, მათ შორის განიარაღების საკითხებისადმი მიძღვნილი ზოგადი დისკუსია, რომლის ყურადღების ცენტრშია საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივები, რომლებიც მთელი კაცობრიობის მისწრაფებებს გამოხატავენ.

ეს კონკრეტული და კონსტრუქციული წინადადებები, განაცხადა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გ. იაროშეკმა, მიზნად ისახავენ ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებას, გამალებული შეიარაღების შეწყვეტას. ნამდვილი განიარაღების მიღწევას. მან აღნიშნა, რომ ყველა ბირთვულმა სახელმწიფომ ...

ბოლივიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კანცლერის განცხადება

განიარაღება დროის მოთხოვნაა

პლაკატი იბრძვის

ჯილდოს გადაცემა

მეცნიერება დაადგინა

დემოგრაფია

დაიმსხვრა სამგზავრო თვითმფრინავი

დოქტორ საოკის დასავალი

მოსამართლის ნაამბობი

გამდიდრების სნეულება

„კომუნისტის" პუბლიკაცია

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებლის, გამოჩენილი მწერლის ლეო ქიაჩელის ცხოვრებისა და შემოქმედების სრულყოფილად შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღემდე გამოუქვეყნებელი უცნობი საარქივო დოკუმენტების გამოვლენასა და გამომზეურებას.

საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის საქმეებში ძიებისას მივაკვლიეთ ლეო შენგელაიას (ქიაჩელის) მიერ 1912-1915 წლებში საზღვარგარეთ — ქ. ჟენევაში დაწერილ ბარათებს, რომლებიც იმავე ხანებში საზოგადოების გამგეობისათვის გაუგზავნია.

ამ ავტოგრაფიული დოკუმენტებით ნათელი ეფინება საზღვარგარეთ — ჟენევაში მწერლის ცხოვრებას, სწავლისა და შემოქმედებითი მუშაობის პირობებს, ჩანს, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა თავიდანვე დაინტერესებული და მზრუნველობით მოჰკიდებია ახალგაზრდა ლეო შენგელაიას (ქიაჩელის) სურვილს და საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად ნორმალური პირობები შეუქმნია.

1912 წლის 22 ივლისის თარიღით (ამ დროს ლ. ქიაჩელი უკვე ჟენევაში იმყოფება, და არა 1912 წლის აგვისტოს ან სექტემბრის დასაწყისში, როგორც ეს მითითებული აქვს ზოგიერთ მკვლევარს) ჟენევიდან პირველ თხოვნაში ლეო ქიაჩელი თავისი მიზნებისა და სწავლის მდგომარეობის შესახებ დაწვრილებით წერდა:

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარ გამგეობას
ლეო შენგელაიას.

თხოვნა

1904 წელს დავასრულე ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. გიმნაზიის დასრულების შემდეგ ჩემი განზრახვა იყო შესწავლა ლიტერატურისა, რათა მომზადებულიყავ ლიტერატურულ შრომისათვის, რუსეთში დავყავი ერთი წელიწადი ხარკოვის უნივერსი-...

ცნობები ლეო ქიაჩელის ნივთიერად გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ. 1912 წლის 10 ნოემბრის გაზეთი „თემი" საზოგადოებას აუწყებდა: „კერძო წერილები მოვიდა თბილისში, რომ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა მწერალი ლეო ქიაჩელი ნივთიერების მხრივ უაღრესად მდგომარეობაშიაო. ნუთუ ჩვენ ჟურნალისტებს არ შეგვიძლიან ლიტერატურული სალამო მოვაწყოთ მის სასარგებლოდ? საჭიროა აგრეთვე ან წერა-კითხვის საზოგადოებამ ან თავადაზნაურობამ მას სტიპენდია დაუნიშნოს, ჩვენ მივაქცევთ ამ გარემოებაზე სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოების ყურადღებას".

ასევე, იმავე წლის 4 დეკემბრის გაზ. „სახალხო გაზეთში" (№ 765) ასეთი ცნობა დაიბეჭდა: „როგორც დანამდვილებით შევიტყეთ, ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი მწერალი ლეო ქიაჩელი, რო-...

თანახმად ბ. საქმის მწარმოებლის მოწერილობისა, მაქვს პატივი მოვახსენო პატივცემულ გამგეობას ჩემი სწავლა-მეცადინეობის და ყოფა-მდგომარეობის ანგარიში მას შემდეგ, რაც სტიპენდია დამენიშნა. რათა მხოლოდ საჭირო ცნობები ვაუწყო გამგეობას, აქვე მომყავს ის კითხვები, რომლებითაც მომმართა ბ. საქმის მწარმოებელმა, რედაქციისა და რიგის შეუცვლელად მესაფერი პასუხებით:

1. „რომელ კურსზედ იყავით მაშინ, როდესაც დაგენიშნათ სტიპენდია?" — პირველზე (ხოლო რუსულ უნივერსიტეტში გავლილი საგნები აქაც გავლილად ჩამეთვლება, გარდა სემესტრებისა).

2. „რომელი თვიდან და წლიდან ღებულობთ სტიპენდიას?" — 1913 წლის იანვრიდან.

3. „რამდენი გაქვთ მიღებული სულ დღემდის?" — 375 მან.

4. „რამდენი წელიწადი გიქლიათ სწავლის დამთავრებამდე?" — ნორმალურ პირობებში სწავლას დავამთავრებ ორს წელში. მაგრამ, საუბედუროდ ჩემდა, ნორმალურ პირობებში არ ვიმყოფები. ამჟამად კი ავადმყოფობაც მიმლის ხელს. ექიმების მიერ მაცადინეობა მაქვს აკრძალული დროებით. ექიმების რჩევით...

„მაქვს პატივი ვსთხოვო შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, ალმოშინოს ერთდროული დახმარება 150 მან. და ამით საშუალება მომეცეს 1913-1914 წლის სწავლის ფული უკლებლივ შევიტანო უნივერსიტეტში და, აგრეთვე, საჭირო სახელმძღვანელოები შევიძინო.

ამასთან მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საბჭოს, რომ მე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან დანიშნული მაქვს სტიპენდია 25 მან. თვიურად და ეს თანხა შეადგენს მთელს ჩემს ბიუჯეტს, რადგანაც სხვა სახსარი მე აბსოლუტურად არა მაქვს. ხსენებული სტიპენდია კი (25 მან.) ძლივძლივობით მყოფნის საცხოვრებლად, ხოლო რაც შეეხება ელემენტარულ მეცადინეობისათვის აუცილებელ პირობებს, სრულიად მოკლებული ვარ. ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემს თავს ბეჯითად ვსთხოვო შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, უყურადღებოდ არ დასტოვოს ეს ჩემი თხოვნა...

დიდი ცხოვრების ფურცლები

● ლეო ქიაჩელი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ● მწერლის ბიოგრაფიის ახალი მასალები

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

„კომუნისტი" საჭადრაკო საკითხავი

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

მოსკოვი

კარპოვი კარპოვის წინააღმდეგ?!

მიმომხილველებმა და გულშემატკივრებმა უკვე შენიშნეს ერთი გარემოება — კარპოვი თეთრებით ყოველთვის მოგებაზე თამაშობს, შავებით კი სწრაფად თანხმდება მეტოქის მიერ შეთავაზებულ ყაიმს.

მეთხუთმეტე პარტიაში, ამ მატჩში უკვე მეექვსედ, ახალინდური დაცვა გათამაშდა. პირველი სვლები მეოთხე და მეექვსე პარტიებს დაემთხვა, შემდეგ კი, შავების მეთოთხმეტე სვლამდე, მეტად საინტერესო რამ მოხდა: მეტოქეებმა გაიმეორეს წინა, მეთო-...

ბოლო ტაიმ-აუტი

ყაზახი

მეთერთმეტე პარტია კომენტარებით

პადრაკში ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე მატჩის XI პარტია ძალზე დაძაბულად მიმდინარეობდა და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. გთავაზობთ ამ პარტიას საერთაშორისო დიდოსტატის ბ. გურგენიძის კომენტარებით.

ი. ლევიტინა — მ. ჩიბურდანიძე
ლაზიერის პაიკების დებიუტი

1. d4 მf6 2. კg5 მe4 3. კf4 d5 4. მd2 მ:d2 5. ლ:d2 კf5. თეთრი კუს მანევრის შედეგად შავებმა ერთი ტემპი დაკარგეს. სამაგიეროდ თეთრებმა დააყოვნეს c4 სვლა. d5 და b7 უჯრები ჯერჯერობით დაწოლას არ განიცდიან. ამიტომ შავებმა ადვილად გადაჭრეს თეთრუჯროვანი კუს განვითარების მნიშვნელოვანი პრობლემა.

6. e3 e6 7. მf3

„საჭადრაკო დებიუტების ენციკლოპედიის" რეცეპტი შეიძლებოდა 7. მe2 კe7 8. c4 dc 9. მc3 კd3 10. კ:d3 cd 11. ლ:d3 0-0 12. ლb5 თეთრებისათვის თა-...

...მედარი დათმობს c5 უჯრას, ... 40 ... ემაგრებისა c5 პუნქტი და მესამე ჰორიზონტალზე ეტლის მანევრით პატარა კონტრთამაშში შექმნა ლაზიერის ფრთაზე.

ფრიად საყურადღებოა, რომ „სოვეტსკი სპორტის" 16 ოქტომბრის ნომერში ქალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატი ქ. ზვორიკინა კომენტარს უძღვნის ამ პარტიას და დიამეტრალურად საწინააღმდეგო აზრს გამოთქვამს. კერძოდ, არ მიიჩნევს შეცდომად თეთრების მე-12 სვლას. ხოლო თეთრების 21. ლb3 სვლის შემდეგ ამბობს: „ლაზიერის ამ მესანიშნავი ნახტომით თეთრები ინიციატივას იღებენო". დიაგრამაზე მოცემულ პოზიციასაც იგი თეთრების სასარგებლოდ აფასებს: „აქტიური 24. g4 როგორც ჩანს, პრეტენდენტს ყურადღებიდან გამორჩა. მაშინ 24. ... კ:c5 უპირატესობა იქნებოდა 25. gf-ის შემდეგ, ხოლო h ხაზის ...

ბ. გურგენიძე.

ლევ იაშინი — № 1 მეკარე

სატურნირო ორბიტა

მოსკოვი

ჩვენს ტელეეკრანებზე

თბილისი

თეატრი

21 ოქტომბერი

22 ოქტომბერი

რედაქტორი
გ. ხიდეშელი.